

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი“

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/22 29 მარტი 2018 წ.

აკადემიური პერსონალის (უვადოდ არჩეული
პროფესორების)

ატესტაციის ჩატარების წესი

თბილისი

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასაწავლო უნივერსიტეტის

აკადემიური პერსონალის (უვადოდ არჩეული პროფესორების)

ატესტაციის ჩატარების წესი

1. ეს წესი არეგულირებს აკადემიური პერსონალის (უვადოდ არჩეული პროფესორების) სამსახურებრივი საქმიანობის, პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების შესაბამისობის შემოწმებას მათ მიერ დაკავებული თანამდებობის მოთხოვნებთან დაკავშირებით (ატესტაცია).
2. ატესტაციის მიზანია:
 - ა) აკადემიური პერსონალის პროფესიული ჩვევების, კვალიფიკაციის და შესაძლებლობების განსაზღვრა მის მიერ დაკავებული თანამდებობის მოთხოვნების შესაბამისად;
 - ბ) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, პროფესიული მომზადების ან გადამზადების საჭიროების დადგენა.
3. პროფესორი, რომელსაც აკადემიური თანამდებობა უკავია უვადოდ, 5 წელიწადში ერთხელ ექვემდებარება ატესტაციას.
4. ატესტაციის ჩატარების შესახებ რექტორის ბრძანების შესრულების მიზნით იქმნება საატესტაციო კომისია.
5. საატესტაციო კომისია შედგება 5 წევრისაგან, კომისიის წევრებს, როგორც წესი, უნდა ჰქონდეთ დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი. კომისიის თავმჯდომარედ შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელსაც აუცილებელია ჰქონდეს დოქტორის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი.
6. პროფესორის ატესტაციის პირობებს შეიმუშავებს უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნივერსიტეტში არსებულ ფაკულტეტების საბჭოებთან შეთანხმებით და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს. კომისია განიხილავს და აფასებს პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირის განვლილი 5 წლის ნამოღვაწარს. მის მიერ განხორციელებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას.
7. ატესტაციის ჩატარების, კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ვადები და წარსადგენი დოკუმენტების ნუსხა განისაზღვრება რექტორის ბრძანებით.

10. საატესტაციო კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილება მიღებულია თუ მას მხარს დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

11. ატესტაციის შედეგების მიხედვით საატესტაციო კომისიას გამოაქვს ერთ-ერთი შემდეგი დასკვნა:

ა) პერსონალი შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

გ) პერსონალი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

12. ატესტაციის შედეგების საფუძველზე კომისია თითოეულ პროფესორთან დაკავშირებით ადგენს დასკვნას, რომლის საფუძველზე ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობით, უნივერსიტეტის რექტორი იღებს გადაწყვეტილებას პროფესორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის ან გაგრძელების თაობაზე;

13. ატესტაციის შედეგები ატესტაციის მონაწილემ კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან ერთი კვირის ვადაში შეიძლება გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში, რომელსაც ქმნის უნივერსიტეტის რექტორი. საპრეტენზიო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს საატესტაციო კომისიის წევრი.